ქ. წალენჯიხა 13 ივნისი 2022 წელი

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის რიგგარეშე სხდომის ოქმი N4

2022 წლის 13 ივნისს გაიმართა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის სხდომა. სხდომას თავმჯდომარეობდა სამანდატო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე რომან კვარაცხელია. ესწრებოდნენ კომისიის წევრები: მაია მიქავა, მამუკა მიქავა, გიორგი დარსალია, ავთანდილ გაბელია, თენგიზ ფიფია, ასევე ესწრებოდა მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე ივანე ბურდული.

დაწყების დრო: 14:50-სთ.
დასრულების დრო: 15:00-სთ

დღის წესრიგი:

1.წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების შესახებ

მომხსენებელი: **რომან კვარაცხელია**, სამანდატო, იურიდულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

2.წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურისა და სოციალური დაცვის სამსახურის დებულების შესახებ

მომხსენებელი: **რომან კვარაცხელია**, სამანდატო, იურიდულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

3.წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ" წალენჯიხის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 19 აგვისტოს N17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხსენებელი: **რომან კვარაცხელია**, სამანდატო, იურიდულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

სამანდატო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე
რომან კვარაცხელიამ სხდომის წევრებს გააცნო კომისიის შეკრების მიზეზი, აღნიშნა,
რომ მერიის მიერ რეორგანიზაციასთან დაკავშირებით მისაღები ნორმატიული
აქტები სამანდატო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის 2022 წლის 6
ივნისის სხდომაზე სრულად იქნა განხილული, თუმცა გამოითქვა გარკვეული
შენიშვნები და წინადადებები, რომელიც უნდა გაეთვალისწინებინა
მუნიციპალიტეტის მერიას. მერიამ წარმოადგინა კორექტირებული ვარიანტი,
კომისიის სხდომაზე გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების
გათვალისწინებით, რომელიც უნდა იქნეს განხილული საკრებულოს სხდომაზე,
ამიტომ სამანდატო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიამ
მიზანშეწონილად ჩათვალა კორექტირებული ვარიანტის გაცნობა კომისიის
წევრებისათვის საკრებულოს სხდომაზე განხილვის დაწყებამდე. ფრაქცია
„ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოსთვის" თავმჯდომარემ მაია
მიქავამ მოითხოვა გაცნობოდა საშტატო ნუსხას, მიუღებლად და კანონდარღვევად
მიიჩნია საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანამდე 10 წუთით ადრე წარდგენა. ასე
ნაჩქარევად კომისიის სხდომის ჩატარება მიზანშეუწონლად მიიჩნია.
ფრაქცია „ქართული ოცნება -დემოკრატიული საქართველოს" წევრმა თენგიზ ფიფიამ
კითხვით მიმართა კომისიის თავმჯდომარეს, თუ რით იყო განპირობებული დროის
მცირე შუალედში ასე დაჩქარებული ტემპით კომისიის მოწვევა და საკითხის
შეუსწავლელად გატანა სხდომაზე, როცა საკითხი მერიას სრულად ჯერაც არ
წარმოუდგენია.კანონმდებლობით განსაზღვრულია თუ რა პროცედურები უნდა
ჩატარდეს საკრებულოს მხრიდან საკითხის სხდომაზე გასატანად. სრულად უნდა
იყოს მერიის მხრიდან წარმოდგენილი დოკუმენტაცია და გაცნობისთვის საჭირო
დრო უნდა იყოს გონივრული.წარმოდგენილი უნდა იყოს განმარტებითი ბარათი,
საშტატო ნუსხა , რამდენი შტატით მცირდება და საბოლოოდ რამდენი საშტატო
ერთეული რჩება და ბიუჯეტთან მიმართებაში რა ცვლილებებს გამოიწვევს ეს
პროცესი. თენგიზ ფიფიამ მიიჩნია, რომ საკითხთან დაკავშირებით თუ რაზე უნდა
იმსჯელოს კომისიამ და რას უნდა უყარონ კენჭი, სრულიად გაურკვეველი და
აბსურდულია.
საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ავთანდილ გაბელიამ აღნიშნა,
რომ მიუღებლად მიაჩნდა ტურიზმის განყოფილების დამატება კულტურისა და
სოციალური დაცვის სამსახურის შემადგენლობაში, მაშინ როცა ამავე ფუნქციის
მატარებელი საშტატო ერთეული გათვალისწინებული იყო მუნიციპალიტეტის მიერ
დაფუძნებულ ა(ა)იპ-ში.

მერის პირველმა მოადგილემ, ივანე ბურდულმა განმარტა, რომ უმეტესი ნაწილი საკრებულოს კომისიის სხდომაზე დასმული შენიშვნებისა და წინადადებებისა გათვალისწინებულ იქნა ნორმატიული აქტების პროექტების კორექტირებულ ვარიანტებში, რომლის თანახმად: ჯანდაცვის, სოციალური მომსახურების და ბავშვთა უფლებების დაცვის მხარდაჭერის განყოფილების დასახელებაში ემატება სიტყვა ,,დევნილთა" და სათაური ჩამოყალიბდება შემდეგი სახით - ჯანდაცვის, სოციალური მომსახურების, დევნილთა და ბავშვთა უფლებების დაცვის მხარდაჭერის განყოფილება. აღსანიშნავია, რომ ფუნქციურად დევნილთა საკითხებს ისედაც მოიცავდა ეს განყოფილება და მხოლოდ განყოფილების დასახელებაში ხდება ამის ასახვა. კულტურისა და სოციალური დაცვის სამსახურს ემატება ერთი, ახალგაზრდულ საქმეთა, სპორტის და ტურიზმის განყოფილება. ჯამში ეს სამსახური მოიცავს სამ განყოფილებას;

ა) ჯანდაცვის, სოციალური მომსახურების, დევნილთა და ბავშვთა უფლებების დაცვის მხარდაჭერის განყოფილება;

ბ) კულტურის, განათლებისა და ძეგლთა დაცვის განყოფილება;

გ) ახალგაზრდულ საქმეთა, სპორტის და ტურიზმის განყოფილება.

აღნიშნული ცვლილება განხორციელდა ახალგაზრდულ საქმეთა, სპორტის და ტურიზმის დარგების პრიორიტეტულობიდან გამომდინარე. ფუნქციები გამოიყო კულტურის, განათლებისა და ძეგლთა დაცვის განყოფილებიდან და გაძლიერდა ახალგაზრდულ საქმეთა, სპორტის და ტურიზმის მიმართულებები. რეორგანიზაცია აღარ შეეხება ინფორმაციული უზრუნველყოფისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებას, მისი ფუნქციები არ გადავა სხვა განყოფილებაში და იგი დარჩება ცალკე განყოფილებად. რაც შეეხება საშტატო ნუსხას , იქნება იმის შესაბამისი, რა მოდელიც იქნა წარმოდგენილი რეორგანიზაციის საფუძველზე დებულებებიდან გამომდინარე .

სამანდატო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიამ კენჭისყრის საფუძველზე გადაწყვიტა:

ნორმატიული აქტების პროექტები წარმოდგენილი შენიშვნების გათვალისწინებით, საკრებულოს სხდომაზე განხილვისათვის მომზადებულად იქნეს მიჩნეული (მომხრე-3(რომან კვარაცხელია, მამუკა მიქავა, გიორგი დარსალია), წინააღმდეგი-2 (თენგიზ ფიფია, მაია მიქავა)). კენჭისყრამდე კომისიის სხდომა დატოვა ავთანდილ გაბელიამ.

ამით საკრებულოს სამანდატო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიამ დაასრულა მუშაობა.

სამანდატო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე — რომან კვარაცხელია